KUS TBA KALA კუს ტბა კალა

ქ.თბილისი 10/07/2019წ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ შპს კუს ტბა კალა-ს და შპს „ფლორა“-ს შორის 2019 წლის 15 აპრილს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება #2/01052019 ს/კ -ზე 01.14.13.014.001. შპს „ფლორა“ იჯარით აღებულ ქონებაზე წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გეგმავს დროებითი შენობა-ნაგებობის აღმართვას (საძირკვლების გარეშე).

შპს „კუს ტბა კალა“ თანახმაა შპს „ფლორა“-მ აღნიშნულ საიჯარო ქონებაზე განახორციელოს ინვესტიცია წარმოდგენილი პროექტის მიხედვით.

პატივისცემით,

დირექტორი

ნინო ბადაგაძე

კუს ტბის მიმდებარე ტერიტორია ninobadagadze06@gmail.com +995 599 47 61 61

იჯარის ხელშეკრულება №2/01052019

ქ. თბილისი

"15" აპრილი 2019 წ.

ერთის მხრივ, შპს "კუს ტბა კალა" (შემდგომში "მეიჯარე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ბადაგაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "ფლორა" (შემდგომში "მოიჯარე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის აკაკი ხურციძის სახით, დებენ წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით

შესავალი დებულებები:

(1) მეიჯარე არის ქ. თბილისში, კუს ტბის ტერიტორიაზე, მდებარე უძრავი ქონების, კერძოდ 10 116 (ათი ათას ას თექვსმეტი) კვ.მ მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 01.14.13.014.001 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების საერთო ფართით 433.63 კვ.მ. მისამართი: ქალაქი თბილისი, კუს ტბის ტერიტორია (შემდგომში "მიწის ნაკვეთი") მესაკუთრე.
(2) მოიჯარეს სურს იჯარით (დროებით სარგებლობაში) აიღოს ზემო პუნქტ (1)-ში აღნიშნული მიწის ნაკვეთიდან 70 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ფართით 37 კვ.მ. (შემდგომში "ქონება");
(3) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი №01.14.13.014.001) შესახებ თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას.
(4) მოიჯარე წინასწარ სრულად გაცნობილია ქონების მდგომარეობას და მისთვის მისაღებია მისი საქმიანობის საწარმოებლად.
(5) საიჯარო ქონება მოიჯარის მიერ გამოყენებული იქნება ღია ტიპის კლუბის მოსაწყობად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების შემდეგ პირობებზე მისი შესავალი დებულების ჩათვლით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მეიჯარე კისრულობს ვალდებულებას, მოიჯარის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, გადასცეს მოიჯარეს იჯარით (დროებით სარგებლობაში) ამ ხელშეკრულების შესავალი დებულებების (2)-ში აღნიშნული "ქონება".
1.2 მოიჯარე საიჯარო ქონებაზე ღია ტიპის კლუბის მოსაწყობად განახორციელებს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციას. კლუბის მოწყობის პროექტი, წინასწარ შეთანხმებული უნდა იქნას მეიჯარესთან და მოწონებულ უნდა იქნას მეიჯარის მიერ.
1.3 მოიჯარე კისრულობს ვალდებულებას ქონების იჯარით მიღების სანაცვლოდ გადაუხადოს მეიჯარეს ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული პირობებით საიჯარო თანხა.
1.4 ქონების გადაცემა მოხდება ამ ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 (ერთი) დღის ვადაში.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 მეიჯარე ვალდებულია:

2.1.1 ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები.
2.1.2 შეუწყოს ხელი და შეუქმნას ყველა აუცილებელი პირობა მოიჯარეს, ამ უკანასკნელის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობის განსახორციელებლად. მოიჯარის საქმიანობიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით გასცეს შესაბამისი თანხმობა და ნებართვები.

2.2 მეიჯარე უფლებამოსილია:

2.2.1 მოსთხოვოს მოიჯარეს, ამ უკანასკნელის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და ჯეროვნად შესრულება.
2.2.2 მოიჯარის მიერ 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების, ან საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში, მეიჯარეს აქვს უფლება პირგასამტეხლოს სახით დააკისროს მოიჯარეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,05%-ის გადახდა, ასევე მოიჯარე ვალდებულია 10 (ათი) დღის განმავლობაში გამოასწოროს მისი ქმედებით გამოწვეული ზიანი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული რომელიმე პირობის დადგომის შემთხვევაში, მეიჯარეს აქვს სრული და შეუზღუდავი უფლება ნებისმიერ დროს ცალმხრივად, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება და მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში ამ ხელშეკრულების 3.7 პუნქტის შესაბამისად თავისუფალ მდგომარეობაში გადასცეს ქონება მეიჯარეს და დაფაროს ყველა არსებული დავალიანება სრულად.

2.3 მოიჯარე ვალდებულია:

2.3.1 სამეწარმეო საქმიანობა აწარმოოს მეიჯარისგან დამოუკიდებლად და თავისი სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე ყველა გადასახადი გადაიხადოს დამოუკიდებლად.
2.3.2 დროულად გადაიხადოს იჯარის ქირა ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლის შესაბამისად.
2.3.3 დროულად გადაიხადოს მის მიერ მოხმარებული ყველა კომუნალური (წყალი, გაზი, ელ. ენერგია, დასუფთავება და ა.შ.) გადასახადი.
2.3.4 სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების და შენობა-ნაგებობის დაცვა და სისუფთავის შენარჩუნება.
2.3.5 მოიჯარე ვალდებულია დაიცვას სანიტარული ნორმები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2.3.6 მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გასცეს მიწის ნაკვეთი, ქონება, ნაგებობა, ქვეიჯარით, ქვექირავნობით და არ გადასცეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები მესამე პირებს.
2.3.7 მოიჯარე ვალდებულია თავად მიიბაროს ყველა სახის ნებართვა სახელმწიფო ორგანოებიდან, რომელიც საჭიროა მისი საქმიანობის განსახორციელებლად (საპროექტო, სარეკლამო, სამშენებლო და ა.შ). საჭიროების შემთხვევაში მეიჯარე გასცემს შესაბამის თანხმობას და ნებართვას.

2.4 მოიჯარე უფლებამოსილია:

2.4.1 მოსთხოვოს მეიჯარეს, ამ უკანასკნელის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და ჯეროვნად შესრულება.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი ვადამდე შეწყვეტის პირობები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2019 წლის 15 აპრილს და მოქმედებს 2022 წლის 01 მაისამდე.
3.2 ხელშეკრულება ავტომატურად წყდება მისი ვადის გასვლისთანავე.
3.3 ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე (ხელშეკრულების 2.2.2 პუნქტი).
3.4 მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ მოიჯარის მიერ თანხის გადახდის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა გადააჭარბებს 30 კალენდარულ დღეს, მეიჯარე უფლებას იტოვებს, ცალმხრივად მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს იჯარის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე, ამასთან წარადგინოს ამონაწერი იმ საბანკო ანგარიშიდან, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში და რომლითაც დადასტურებული იქნება მოიჯარის მიერ თანხის გადაუხდელობა, რაც სრული საფუძველი იქნება ამ ხელშეკრულების შეწყვეტის და რეგისტრაციის ვადამდე გაუქმებისა.
3.5 ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად, ვადამდე შეწყდეს მეიჯარის წინასწარი 20 დღიანი წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე თუ, გადაწყდება შპს "კუს ტბა კალა"-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების ან/და შპს "კუს ტბა კალა"-ს წილების გადაცემა საკუთრებაში ან მართვაში მესამე პირებზე და თუ გადაწყდება კუს ტბაზე ინვესტიციის განხორციელება და კუს ტბის ტერიტორიაზე დაიწყება მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები.
3.6 მეიჯარის ცალმხრივი ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის (ხელშეკრულების 3.5 პუნქტი) შემთხვევაში, თუ მოიჯარის მიერ სრულად და ჯეროვნად იქნება შესრულებული ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები, მაშინ მოიჯარეს აქვს სრული უფლება დემონტაჟი გაუკეთოს მის მიერ დამონტაჟებულ ღობეს და გაიტანოს ასევე ინვენტარი (დანადგარები). ასევე მოცემულ შემთხვევაში, მოიჯარის მიერ წარმოდგენილი პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის საფუძველზე ცვეთის გათვალისწინებით გონივრულ ვადაში აუნაზღაურდება მის მიერ განხორციელებული ინვესტიციის თანხა (გარდა ღობისა).
3.7 მოიჯარის ბრალეულობით ან/და ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის (ხელშეკრულების 2.2.2 პუნქტი) შემთხვევაში, მოიჯარეს არ აუნაზღაურდება მის მიერ განხორციელებული ინვესტიციის თანხა და ყველა გაუმჯობესება, მათ შორის ღობე რჩება მეიჯარის საკუთრებაში. მოიჯარე ვალდებულია ხელშეკრულების ნებისმიერი ფორმით შეწყვეტიდან 20 (ოცი) დღის ვადაში, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად თავისუფალ მდგომარეობაში დაუბრუნოს ქონება მეიჯარეს. მოცემული ვადის დარღვევის შემთხვევაში, მეიჯარეს აქვს უფლება პირგასამტეხლოს სახით დააკისროს მოიჯარეს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი საიჯარო ჰირის 0.05%-ის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
3.8 ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში თუ მოიჯარის მიერ სრულად და ჯეროვნად იქნება შესრულებული ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები, მაშინ მოიჯარეს აქვს სრული უფლება დემონტაჟი გაუკეთოს მის მიერ დამონტაჟებულ ღობეს, კვების ობიექტის კონსტრუქციას და გაიტანოს ასევე ინვენტარი (დანადგარები), ხოლო ყველა გაუმჯობესება,

რომლითაც მოიჯარემ აღჭურვა საიჯარო ქონება, მეიჯარის სურვილის შემთხვევაში რჩება მეიჯარესთან.

4. იჯარის გადასახადი და ანგარიშსწორების პირობები

4.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ამ ხელშეკრულების 4.2. პუნქტით გათვალისწინებული ჯამური საიჯარო ქირა შეადგენს 175230 (ას სამოცდა თხუთმეტი ათას ორას ოცდა ათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;

4.2. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით საიჯარო ქირა დადგენილია სეზონური და პერიოდული დიფერენცირების პრინციპით და ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვრა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. 2019 წლის 15 აპრილიდან 1 მაისამდე საიჯარო გადასახადი შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
2. 2019 წლის მაისის თვის საიჯარო გადასახადია 7225 (შვიდი ათას ორას ოცდახუთი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
3. 2019 წლის ივნისის თვის საიჯარო გადასახადია 9970 (ცხრა ათას ცხრაას სამოცდა ათი) ლარი.დღგ-ს ჩათვლით.
4. 2019 წლის ივლისის თვის საიჯარო გადასახადია 9800 (ცხრა ათას რვასს) ლარი.დღგ-ს ჩათვლით.
5. 2019 წლის აგვისტოს თვის საიჯარო გადასახადია 9800 (ცხრა ათას რვაასი) ლარი.დღგ-ს ჩათვლით.
6. 2019 წლის სექტემბრის თვის საიჯარო გადასახადია 9800 (ცხრა ათას რვაასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
7. 2019 წლის ოქტომბრიდან 2020 წლის აპრილის ჩათვლით ყოველთვიური საიჯარო გადასახადი შეადგენს 1890 (ერთიათას რვაას ოთხმოცდა ათი) ლარს თვეში დღგ-ს ჩათვლით.
8. 2020 წლის მაისის თვის საიჯარო გადასახადია 3000 (სამი ათასი) ლარი თვეში დღგ-ს ჩათვლით.
9. 2020 წლის ივნისის თვეში საიჯარო გადასახადია 9970 (ცხრა ათას ცხრაას სამოცდა ათი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
10. 2020 წლის ივლისის თვეში საიჯარო გადასახადია 9800 (ცხრა ათას რვაასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
11. 2020 წლის აგვისტოს თვეში საიჯარო გადასახადია 9800 (ცხრა ათას რვაასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
12. 2020 წლის სექტემბრის თვეში საიჯარო გადასახადია 7300 (შვიდი ათას სამასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
13. 2020 წლის ოქტომბრიდან 2021 წლის აპრილის ჩათვლით ყოველთვიური საიჯარო გადასახადი შეადგენს 1890 (ერთი ათას რვაას ოთხმოცდა ათი) ლარს თვეში დღგ-ს ჩათვლით.
14. 2021 წლის მაისის თვეში საიჯარო გადასახადია 6770 (ექვსი ათას შვიდას სამოცდა ათი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
15. 2021 წლის ივნისის თვეში საიჯარო გადასახადია 12000 (თორმეტი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

16. 2021 წლის ივლისის თვეში საიჯარო გადასახადია 12000 (თორმეტი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
17. 2021 წლის აგვისტოს თვეში საიჯარო გადასახადია 12000 (თორმეტი ათასი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
18. 2021 წლის სექტემბრის თვეში საიჯარო გადასახადია 9040 (ცხრა ათას ორმოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.
19. 2021 წლის ოქტომბრიდან 2023 წლის აპრილის ჩათვლით ყოველთვიური საიჯარო გადასახადი შეადგენს 2460 (ორი ათას ოთხას სამოცი) ლარს თვეში დღგ-ს ჩათვლით.

4.3 საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება მეიჯარის მიერ ქვემოთ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით
საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE87BG0000000299054900
4.4 მოიჯარე იჯარით აღებულ ქონებაზე საკუთარი ხარჯებით დაამონტაჟებს ელ. ენერგიის, წყლის და გაზის ინდივიდუალური მოხმარების მრიცხველებს და იხდის ზემოხსენებულ კომუნალურ გადასახადებს.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.2 მეიჯარე პასუხს არ აგებს მოიჯარის სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე სავადასახადო ვალდებულებებზე, აგრეთვე მოიჯარის მიერ ფიზიკური თუ იურიდიული პირების, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოების წინაშე აღებულ ვალდებულებებზე და მისი საქმიანობის შედეგად დამდგარ შედეგებზე.
5.3 მოიჯარის მიერ იჯარით აღებული ქონების დაზიანების შემთხვევაში, მოიჯარე აუნაზღაურებს მეიჯარეს მიყენებულ ზიანს საბაზრო ფასების შესაბამისად.
5.4 მოიჯარე პასუხისმგებელია იჯარით აღებულ ქონებაზე და ნაგებობაზე სახანძრო უსაფრთხოების, სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების შესრულებაზე, მუსიკის ხმის დარეგულირებაზე, დაცვაზე და დარღვევის შედეგებზე.
5.5 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ფორს-მაჟორულ გარემოებად მიიჩნევა სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები და ა.შ. ფორს-მაჟორული გარემოება უშუალოდ გავლენას უნდა ახდენდეს რომელიმე მხარის საქმიანობაზე. მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმ ვადით, რა ვადითაც გრძელდება ფორს-მაჟორული გარემოება. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შესახებ მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით აღნიშნული გარემოების დადგომიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.

6. სხვა პირობები

6.1 მოიჯარე ადასტურებს, რომ მიწის ნაკვეთი წარმოადგენს მეიჯარის საკუთრებას და მას აღნიშნულთან დაკავშირებით პრეტენზიები არ გააჩნია.

6.2 ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები არ შეიძლება გადაეცეთ მესამე პირებს მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
6.3 ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.4 ნებისმიერი სახის ცვლილება ამ ხელშეკრულებაში საჭიროებს მხარეთა წერილობით თანხმობას.
6.5 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს, ხოლო ერთი ეგზემპლარი რეგისტრაციის მიზნით წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.


7. მხარეთა ხელმოწერები

"მეიჯარე"
შპს "კუს ტბა კალა"
ს/კ 204876704
დირექტორი
ნინო ბადაგაძე

ნინო ბადაგაძე
01031001699

"მოიჯარე"
შპს "ფლორა"
ს/კ 405330609
დირექტორი
აკაკი ხურციძე

აკაკი ხურციძე
60002002566



დანართი N1

შეთანხმება

ქ. თბილისი

01 მაისი 2019 წ.

წინამდებარე შეთანხმება დაიდო ერთის მხრივ, შპს "კუს ტბა კალა"-ს ("მეიჯარე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ბადაგაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს "ფლორა"-ს ("მოიჯარე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის აკაკი ხურციძის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგი პირობით

ვინაიდან მხარეებმა, 2019 წლის 15 აპრილს გააფორმეს ორი იჯარის ხელშეკრულება კერძოდ: 1. #1/01052019; 2. #2/01052019; და 01 მაისს ერთი იჯარის ხელშეკრულება 3. #3/01052019

გამომდინარე იქიდან, რომ სამივე ხელშეკრულებაში მეიჯარეს წარმოადგენს შპს "კუს ტბა კალა", ხოლო მოიჯარეს წარმოადგენს შპს "ფლორა", მხარეები თანხმდებიან, რომ, მოიჯარის მიერ რომელიმე ზემოხსენებული ხელშეკრულების, რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში, მოიჯარე პასუხს აგებს სოლიდარულად ყველა ხელშეკრულებასთან მიმართებაში. ანუ თუ მოიჯარე დაარღვევს რომელიმე ხელშეკრულების რომელიმე პირობას, მეიჯარეს აქვს სრული და შეუზღუდავი უფლება დამდგარი პასუხისმგებლობა გადაანაწილოს და გააერცელოს ყველა ხელშეკრულებაზე ერთდროულად, მათ შორის მეიჯარის მხრიდან ერთი ხელშეკრულების ნებისმიერი საფუძლით შეწყვეტის შემთხვევაში, მეიჯარეს აქვს სრული და შეუზღუდავი უფლება ავტომატურად ცალმხრივად მოითხოვოს დანარჩენი 2 ხელშეკრულების შეწყვეტაც, რაც ერთდროულად გავრცელდება სამივე ხელშეკრულებასთან მიმართებაში.

მეიჯარე

შპს "კუს ტბა კალა"

ს/კ 204876704

დირექტორი

ნინო ბადაგაძე

მოიჯარე

შპს "ფლორა"

ს/კ 405330609

დირექტორი

აკაკი ხურციძე

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.14.13.014.001**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019401098 - 23/05/2019 15:35:49

მომზადების თარიღი
29/05/2019 14:01:35

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ვაკე		
01	**14**	**13**	**014/001**

მისამართი: ქალაქი თბილისი , კუს ტბის ტერიტორია.

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 10116.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**14;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 და N2
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 433.63

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882011551951 , თარიღი 11/11/2011 17:15:38
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/11/2011

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- გადაწყვეტილება N2/939-07 , დამოწმების თარიღი:26/06/2007 , ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
- ბრძანება Nლეგ-696 , დამოწმების თარიღი:08/11/2011 , თბილისის არქიტექტურა
- ბრძანება N18177/006-5/4-343 შპს , დამოწმების თარიღი:05/01/2009 , საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრი

მესაკუთრეები:
შპს "კუს ტბა კალა" , ID ნომერი:204876704

მესაკუთრე:
შპს "კუს ტბა კალა"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019401098 თარიღი 23/05/2019 15:35:49

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/05/2019

მოიჯარე: **შპს "ფლორა"** 405330609;

საგანი:მიწის ნაკვეთიდან 70 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა ფართით 37 კვ.მ.; საბოლოო თარიღი:01/05/2022;

იჯარის ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N2/01052019, დამოწმების თარიღი23/05/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge